# სახალხო გაზეთი

№ 646 ოთხშაბათი, 11 ივლისი, 1912 წ. № 646

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

**სახ. გაზ. კანტორა.**

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს".**

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

## ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე აცხადებს,

რომ გიმნაზიის მოწაფეების გამოცდა
დაიწყება მე-3, 4, 5, 6 და 7 კლასებში მარიამობისთვის 20,
„ 1 და 2 „ „ 23,
„ მოსამზადებელ განყოფილებებში „ 25,
მისაღები ეგზამენები პირველს განყოფილებაში „ 25.
სხვა კლასებში გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

მოწაფე, რომელიც თავის დროზე არ გამოცხადდება გამოცდაზე, აღარ იქნება მიშვებული ეგზამენებზე. ვისზედაც გასულის 1911/12 წლის სწავლის გადასახადია დარჩენილი, თუ არ გადიხდიან 1 ენკენისთვემდე, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

თხოვნები ახლად შემომსვლელთაგან მიიღება მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე. (6—1384—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.65)

**ექიმი** აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-ღარქაროვისა. (წ. 1347.202)

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—118)

**საზაფხულო ახალი კლუბი** შენოგა.

ხუთშაბათს, 12 ივლისს, **საბავშო საღამო** გაიმართება საყმაწვილო თამაშობა და ცეკვა. წარმოდგენილ იქნება

ქართულად:
1. **„თამრიკოს ავადმყოფი"**
პიესა 1 მოქმ. დ. დეკანოზიშვილისა.

რუსულად:
2. **„მოტყუებისაგან სიკეთეს ნუ მოელი"**,
ვოდ. 1 მოქმედებად.

დასაწყისი საღამოს 5½ საათზე. დაუკრავს სამხედრო მუზიკა. ფასი სტუმრების ყმაწვილთათვის—15 კ., სტუმრები კლუბში შესასვლელს ფასს იხდიან ჩვეულებრივ. (1.1357.1)

**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყოროღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.**
**სამტრედიაში—გ. ი. სტურუასთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.**
**თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

## სათათბიროს არჩევნები

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამომრჩეველთა განცხადების მიღება და საარჩევნო **სიების** შესახებ ცნობების მიცემა, რომელსაც გამგეობა ადგენს საყოველთაო და რუსთა კურიისათვის, აგრეთვე პენსიონერთა და მოქირავნეთა განცხადების ბლანკები და საარჩევნო წესების ამოწერა სწარმოებს ქალაქის გამგეობასთან არსებულ სტატისტიკო ბიუროში ყოველ დღე, შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე, კვირა-უქმე დღეებში კი დილის 11—2 საათამდე.

სახელმწიფო სათათბიროს 1907 წ. 3 ივნისის საარჩევნო დებულებათა 57 მუხლისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 1912 წ. 13 მაისს გამოცემულ ინსტრუქციის ძალით საარჩევნო სიების შედგენის თაობაზე, არჩევნებში მონაწილეობის უფლებით აღჭურვილ სახლის მოქირავნე პირთ, რომელნიც იხდიან საბინადრო სახელმწიფო გადასახადს ანდა იღებენ პენსიებს, თუ საარჩევნო უფლებით სარგებლობა ჰსურთ, ვალდებულნი არიან წერილობით განცხადება შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში საარჩევნო სიების გამოქვეყნებამდე და თან წარმოადგინონ სათანადო მოწმობანი: ვისაც თავის სახელითა აქვს ნაქირავები ბინა, უნდა წარმოადგინოს ქირავნობის პირობის წერილი შემოწმებული, ან ამის შესაფერი მოწმობა პოლიციიდან; ხოლო ვისაც პენსია აქვს სახელმწიფო, საქალაქო, საერობო ან წოდებრივ დაწესებულებათა ან რკინის გზაზე ნამსახურობისათვის, უნდა წარმოადგინონ პოლიციის მოწმობა, რომ ტფილისში ან ტფილისის მაზრაში ერთ წელიწადზე ნაკლებ არ უცხოვრიათ, აგრეთვე მოწმობა ხაზინისა ან სხვა დაწესებულებისა, საიდანაც პენსია ეძლევა, რომ პენსიას იღებდა არა ნაკლებ ერთის წლისა.

იმ პირთ, ვისაც თავის მშობლებისა, ან მეუღლის უძრავ ქონებით ჰსურს ისარგებლონ საარჩევნო უფლებისათვის, ვალდებულნი არიან გამგეობაში სამისო განცხადებასთან წარმოადგინონ სალერბო მომგებიანი ნოტარიუსის, ან მათ მრწმუნებელ უფროსების, პოლიციისა ან მომრიგებელ მოსამართლის მიერ შემოწმებული მოწმობა. (2.1385.1)

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 335)

## სოფ. ანაგის ქსენონში

**თავისუფალია ექიმის ადგილი**

1000 მან. ჯამაგირით. ქსენონის რაიონში ითვლება 3,000 კომლი 15,000 სულით, რომლებიც სცხოვრობენ მჭიდროთ 6 ვერსის სიგრძესა და 1½ ვერს. სიგანეზე. დღეში ექნებათ 4—10 და მეტიც პრაქტიკა თითო მანათიანი. მსურველ ექიმებს შეუძლიანთ მოგვმართონ ივლისის 12-მდე ამ ადრესით:

ქ. სიღნაღი, ანაგის ქსენონის გამგეს". (3—1386—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბ. ა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606"-ით.** (წლ—1018—306).

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1 82. (თ. 1037 207)

**ექიმი** ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში 9—3 საათამდე.

**ექიმი ს. ი. გძელიშვილი** შინაგანულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 2', ხრამელაშვილის სახლი. (0—550—1)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—58)

**ექიმი** კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—18)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელდ. საბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირი. (25—1178—75)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1015.150).


## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ ტფ. გუბერნატორმა თავ. ი. რ. ვაჩნაძეს და კ. ი. ტყავაძეს ნებადართო ქალაქ **სიღნაღში** ყოველ დღიური ქართული გაზეთი გამოსცენ **„კახეთის ხმა".**

✦ ტფ. გუბერნატორმა თავ. კ. ი. რუსიშვილ-ყორჩიბაშევისას ნებადართო 20 ივლისს **ქ. თელავში გამართოს საღამო** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების თელავის განყოფილების სასარგებლოდ.

✦ ტფილისის გუბერნატორმა პ. დ. მაჭარაშვილს ნებადართო **სოფ. ზემო-გომში** (გორის მაზრა) **წარმოდგენა** გამართოს, რომლის შესავალიც ს. გომში მუდმივი სცენის მოსაწყობად გადაიდება.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტფილისში მცხოვრებ გერმანიის ქვეშევრდომს ვოლდემარ-პაულ განზეს ნებადართო რუსეთის ქვეშევრდომლობა მიიღოს.

✦ **შუბკოვოდან დეპეშით გვატყობინებენ,** რომ იქ საზაფხულო ლაზარეთში **უეცრად გარდაცვლილა** ჯან-ღონით სავსე **ერასტი გიორგის ძე ქავთარაძე,** ზუგდიდის მაზრელი.

✦ **ექსკურსია ქ. ანსა და ეჩმიაძინში** მიემგზავრება შაბათს, 14 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მატარ. № 78. ცნობების მიღება შეიძლება ი. გოგოლაშვილისაგან „სახალხო გაზეთის" რედაქციაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი) დილის 11 დან 12 საათამდე.

✦ **წყალში დამხრჩვალნი,** 9 ივლისს, გათენებისას მტკვარში, ვორონცოვის ქუჩისაკენ 25 წლის კაცის გვამი იპოვეს. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. დამხვრჩალის ვინაობა ვერ გამოარკვიეს. როგორც ეტყობა, უცნობი 2—3 თვის წინად დამხვრჩალა, რადგანაც გვამი გახრწნილია.

— 9 ივლისს მტკვარში, მუშტაიდისკენ, დამხრჩვალის ყმაწვილის გვამი იპოვეს. დამხვრჩალი აღმოჩნდა ტფ. პირველ საკომერციო სასწავლებლის მესამე კლასის მოსწავლე ნიკიტა ხაჩატურას ძე კაფიევი, 17 წლისა, ტფ. ვაჭრის კაფიევის შვილი. მოსწავლე მტკვარში დამხვრჩალა ამ ორის კვირის წინად მცხეთისაკენ, სადაც სასეირნოდ ყოფილა წასული.

✦ **ქალაქის გამგეობის მდივანად** ნაცვლად ს. ა. დანდუროვისა, რომელიც ორის თვით დასასვენებლად წავიდა, გამგეობამ დროებით მოიწვია ლ. კ. ვოინოვიჩი.

✦ **სამშობიარო თავშესაფარის შენობის პროექტი,** რომელიც ქალაქის ხუროთ-მოძღვარმა ბ-ნმა სიმონოვსკიმ შეადგინა, ქალაქის გამგეობისა, საბჭოს სატეხნიკო და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების შეერთებულმა კრებამ მოიწონა და მცირედის ცვლილებებით დაამტკიცა.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი,** რომელიც სამსახურის საქმეთა გამო ტფილისისა და ბორჩალოს მაზრას იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

✦ ამერიკელმა პროფესორებმა მეიერმა და ფერბილდმა ტფ. საბოტანიკო ბაღის დირექტორს ბ-ნ როლლოვს სთხოვეს, გაუგზავნოს მათ განსაკუთრებული ჯიშის სამყურას თესლი, რომელიც ამიერ-კავკასიის მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ მშრალ ნაწილებში იზრდება.

✦ მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში კახეთს გაემგზავრება პირველი წყება საფილოქსერო დასისა. ხელმძღვანელობას გაუწევენ ინსტრუქტორები ბ-ნნი იოსელიანი და მაკარაშვილი. დღეს, საფილოქსერო კომიტეტი მუშაობის მსურველთა თხოვნებს განიხილავს, რომელიც 120-მდეა.

✦ საბოტანიკო ბაღის ბაკურიანის საალპიო განყოფილებისათვის მცენარეებისა და თესლის შესაკრებად ტფ. საბოტანიკო ბაღის დირექტორმა სად. გუდაურში გაგზავნა მებაღებოტანიკი ვ. მ. სავიჩი.

✦ **წალკაში ხმოსნების წასვლა,** რომელიც 21 ივლისისთვის იყო დანიშნული, გადაიდო 25—28 ივლისისათვის. ხმოსნები თავის ხარჯით წავლენ.

✦ მიმდინარე წელს აპირობენ კავკასიის **ბრინჯის მრეწველთა კრების მოწვევას,** რომელმაც უნდა გამოარკვიოს მეურნეობის ამ დარგის გაუმჯობესების სხვა და სხვა პირობები.

✦ ტფ. ბუნების მოყვარულთა საზოგადოება, 14 ივლის მოაწყობს **ექსკურსიას** იოანე ზედაზენის მონასტერში.

✦ **ა. ჩეხოვის სახსოვრად** მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სადგომში საზოგადოების გამგეობა 12 ივლისს სალიტერატურო საღამოს გამართავს.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** 10 ივლისის 2 საათამდე სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიაში შეტანილ იქმნა: რუსულ კურიიდან—836 კაცი და საერთოდან—839.

✦ **სამართალში აძლევენ** გარეგინ ნონიევს, ფილიმონ სუტიძეს, იაგორ ხობეროვს, არუთინ საფუნჯახიანცს და ზარქაროვს, რომელთაც პოლიციელნი შეურაცხყვეს ქრთამის შეძლევით.

✦ **წვრილ კრედიტის საქმეთა საგუბერნიო კომიტეტმა** ნება დართო, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი გახსნან: 1) სოფელს ქანძაში (ახალქალაქის მაზრა), 2) სოფელს კაკაბეთში (სიღნაღის მაზრა) და 3) სურამში. საკრედიტო ამხანაგობანი: 1) სოფელს დაღეთ-ხაჩინში (ტფ. მაზრა), 2) სოფელ ვაჩნაძიანში (თელავის მაზრა), 3) სოფელს შაგალში (ბორჩალოს მაზრა) და 4) სოფელს მულანლოში (ტფ. მაზრა). თვითეულს ამხანაგობას სახელმწიფო ბანკიდან ძირითად თანხად 2,000 მან. ეძლევა.

✦ **კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი** ამ ზაფხულს მთხოვნელებს მიიღებს ოთხშაბათობით, დილის 9 საათზე, ნამესტნიკის კანცელარიაში.

✦ **ჩხრეკა-დაპატიმრება** წარსულ ივნისის განმავლობაში სულ 128-ჯერ მომხდარა. დაუპატიმრებიათ 1,451 კაცი.

✦ **ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სახელობის საქალაქო სკოლის შენო-**

ბის პროექტის შედგენა ქალაქის გამგეობამ ხუროთ-მოძღვარს ჩისლიევს მიანდო.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** რადგანაც ასტრახანში ორი შემთხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა და ამიტომ მისი შემოტანა ტფილისშიაც არის მოსალოდნელი, ქალაქის მოურავმა განკარგულება მოახდინა: 1) ეთხოვოს ექიმებს, რათა ცნობები კუჭისა ავადმყოფობის შესახებ ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს აცნობონ, 2) ხშირად მოხდეს ხოლმე ავჭალის წყალსადენის გასინჯვა; 3) შესდგეს ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით და ექიმების და ხმოსნების მონაწილეობით კომისია, რომელიც სახლებსა და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებს დაათვალიერებს სანიტარულის მხრით და 4) ეთხოვოს ტფ. მაზრის უფროს, ჩაფრები დააყენოს ავჭალაში, რათა წყალსადენისკენ მიმავალ წყალში ნაგავი არავინ ჩაჰყაროს. დანარჩენ ზომების მიღება ჯერ-ჯერობით ნაადრევად იქმნა ცნობილი.

— ქალაქის მოურავის შეკითხვაზე ბაქოს ქალაქის გამგეობამ აცნობა, რომ ამ ჟამად ბაქოში არავითარი საგანგებო ზომები არ არის მიღებული ხოლერის წინააღმდეგ.

✦ **მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების** მასალების შეგროვება და იქ განზრახულ ქუჩების პროექტის შედგენა ქალაქის გამგეობამ ქალაქის მიწის-მზომელის თანაშემწეს ვარდანიანცს დაავალა.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** დღეიდან ქალაქის გამგეობას ნაშუადღევის ორის საათიდან ყოველ დღე კრებები ექნება ქალაქის მომავალ ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 9 ივლისს საწამლავი დალია ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლში № 25 მცხოვრებმა 19 წლის ქალმა ეკატერინე მიხეილის ასულმა ავჩინიკოვმა, რომელსაც სამკურნალო დახმარება მიხეილის საავადმყოფოში აღმოუჩინეს. თავის მოკვლის განზრახვის მიზეზი ნივთიერი ხელმოკლეობა ყოფილა.

✦ რადგანაც ტფ. ქალაქის საექიმო ლაბარატორიის გამგე გ. გ. ალიბეგოვი საზღვარ-გარედ მიემგზავრება, ტფ. ქალაქის მოურავმა მას თხოვნით მიმართა რომ ცნობები შეჰკრიბოს ახალი საშუალებით წყლის გასუფთავების შესახებ.

✦ ტფ. ქალაქის საექიმო ლაბორატორიაში მიიტანეს ალიბეკოვის ქარხნის (მიხეილის ქუჩ, № 146) კვასის ნიმუშები და ზაიცევისა და ამხ. ქარხნის (იურიევის ქუჩა № 34) მადნეულის წყლების ნიმუშები. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სასმელებში ბევრი მავნე ნივთიერებაა. ამიტომ სახმარებლად უვარგისად სცნო- ორივეს ოქმი შეუდგინეს.

✦ ტფ. გუბერნატორის დადგენილებით დააჯარიმეს მეეტლე (№ 13) ალექსი კოროტოვი, რომელმაც პოლიციის მოთხოვნილება (გაჩერება) არ შეასრულა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის ორი კვირით დააპატიმრებენ.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ გიორგი ნაკაშიძე, 12 წლისა და სონა ალეინიკოვი, 12 წ, მათ მოსაძებნად ზომებია მიღებული.

✦ 9 ივლისს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა თელავის მცხოვრები ფირუზ გასპარას ძე როსტომოვი.

✦ 9 ივლისს ტფილისში 40 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ახალ კლუბის** წევრთა საგანგებო კრება დღეს, 11 ივლისს, მოხდება. განსახილველია საკითხი საზამთრო შენობის აგების შესახებ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ ხუთშაბათს, 12 ივლისს, შუადღის 12 საათზე, მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს სადგომში (გრიბოედოვის ქუჩა № 19) მოხდება **კრება მევენახეობისა და მეღვინეობის** ტფილისის საგუბერნიო კომიტეტისა. კრებაზე განიხილავენ მეტად საყურადღებო საკითხებს:

1) პარტიების შედგენას: ა) ვენახების შესამოწმებლად; ბ) დაავადმყოფებულ ადგილებში ფილოქსერიის ბუდეების მოსასპობად; 2) ადგილების გაყოფა ერთი მხრით რომელთაც შველა ესაჭიროება და მეორეც— რომელსაც დახმარება არ ესაჭიროება ფილოქსერასთან საბრძოლველად 3) იმ ადგილებიდან, სადაც ფილოქსერაა ნერგების გატანა და სხვა.

## სასწავლებლებში.

✦ სახალხო **განათლების სამინისტრომ** განიხილა საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება, რომელიც ეხება სხვა და სხვა საპროფესიო და სახელოსნო სასწავლებლებს, კურსების და სასწავლო სახელოსნოების დაარსების საქმეს. სამინისტრომ სასურველად სცნო, რომ ასეთ კურსების სასწავლებლების და სახელოსნოების ნებართვის მიცემა დამოკიდებული იყოს იმ უწყებისაგან, რომელიც საგნის მიხედვით დაკავშირებული იყოს და სპეციალური ცოდნით აღჭურვილი.

## ქუთაისი.

✦ დღეს **იაკობ გოგებაშვილის** პატივსაცემად გაიმართება ქალაქის თეატრში სალიტერატურო საღამო.

✦ ტფილისიდან ჩამოვიდა რამოდენიმე ინტელიგენტი და გუშინ გაემგზავრა რაჭაში რაჭის წყლებისა და საავგარაკო ადგილების დასათვალიერებლად.

✦ ქუთაისის გუბერნატორი ბ. **სლავოჩინსკი** დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებელი ბ-ნ **იურკევსკი** ქუთაისიდან გადაიყვანეს.

✦ საზოგადო სასწორზე მომუშავე კომისიამ დაიჭირა რამოდენიმე პირი, რომელნიც პარკს თავის სასწორებზე სწონიდნენ და არა საზოგადო სასწორზე. სასწორებთან ერთად დაჭერილი პირები კომისიის წევრებმა პოლიციაში გაგზავნა.

✦ გუშინ ქუთაისის ციხიდან ეტაპით რუსეთში გაგზავნეს **ზაქარია გურული.**

✦ ამ დღეებში ქუთაისში განახლდება გამოცემა დროებით შეჩერებულ ჟურნალის „კოოპერაციისა“.

✦ პარკის შემოსავალი ქუთაისის ბაზარზე შეწყდა.

✦ ერთი თვის დატუსაღების შემდეგ 7 ივლისს **ციხიდან განთავისუფლეს** თორმეტი კაცი, რომლებიც იყვნენ დაჭერილი ელიგულაშვილის მოკვლის გამო. განთავისუფლებულთა სახელი და გვარი: ა. ძოწენიძე, კ. ჯოხია, ტ. კეზევაძე, ი. ნიშნიანიძე, მამედ-ალი-ოღლი, ა. თოფჩიაშვილი, მ. რიქიაშვილი, რ. იაკობიშვილი და ყობო ჩაყვაშვილი. ამ საქმის გამო კიდევ დატუსაღებულია ოც კაცამდე. („ჩვენი ცხოვრება“)

## ბორჯომი

✦ მჟავე წყლის პარკში არსებობს კიოსკი, სადაც იყიდება რუსული და ორიოდე გერმანული ჟურნალ-გაზეთები. არ მოიპოვება არც ერთი ქართული გაზეთი.

ამავე პარკში კვირას 15 ივლ. საღამოთი დიდი სეირნობაა დანიშნული ადგილობრივ საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ.

წ. კ. გ. საზ. აქაურ განყოფილებას აქვს ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ჟურნალ-გაზეთების მიღების და გაცემის საქმე კარგად არის დაყენებული: სამკითხველო კი ცუდ ადგილას არის, დაბის განაპირას, დაბალ ადგილას. ამავე დროს მშვენიერ ადგილას წამოჭიმული საეკლესიო სახლი ცარიელია, ჩიტების ბუდედ ქცეულა.

✦ 7 ივლისს, დასრულდა ამიერკავკასიის სახალხო სკოლების დირექტორების და ინსპექტორების თათბირი. კრებას თავმჯდომარეობდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი. მონაწილეობა მიიღეს სახალხო სკოლების დირექტორმა, სამმა სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორმა და სამმა სახალხო სკოლების ინსპექტორმა.

## სიღნაღი

✦ სპეციალურმა კომისიამ საბოლოოდ გამოარკვია, რომ ამ თვეში მოსულმა სეტყვამ, ნიაღვრებმა და ქარმა გაანადგურა ვენახები, ბაღები და ნათესები სულ 1639 დესეტინის სივრცეზე, ზარალი კი 76,000 მანეთს აღემატება. უმთავრესად დაზარალებულან შემდეგი სოფლები: კაჭრეთი, ფანიანი, ჩალაუბანი, კაკაბეთი, იორმუღანლო და მწვანე მინდორი (ზელიონოე პოლე).

## განჯა.

✦ დასრულდა სწავლა **კონსერვების** გასაკეთებელ **კურსებზე,** რომელიც გაიხსნა 15 ივნისს სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის, განჯის სახელოსნო სასწავლებელთან.

## ფონდი

### იაკობ გოგებაშვილისა.

შუშის მაზრაში მყოფ ქართველთაგან გამოღებული წვლილი **იაკობ გოგებაშვილის** ფონდისათვის. შემომწირველთა სია:

თითო მანეთი: გრიგოლ ცხადაძემ, ბაბილინა ცხადაძემ, აკაკი ლორთქიფანიძემ, გრიშა მაჭავარიანმა, არჩილ ნინიაშვილი, პავლე ნინიაშვილი, გრიგოლ კიკნაძე; ბაგრატ მირიანაშვილმა 1 მ. 50 კ.; ათ-ათი შაური: გიორგი აბუსერიძემ, ლავრენტი გოგელიამ, პავლე მჟავანაძემ, ნოე ბერიშვილმა, ნიკოლოზ სალამატინმა, ფადო კულუმბეკოვმა, მარიამ კულუმბეკოვმა, როდიონ ჩოჩიამ, ანტონ ტურძელაძემ; ალექსი ნანაძემ 75 კაპ., ელენე ნანაძისამ 75 კ., მიხეილ ელიაშვილმა 25 კაპ.

სულ შესდგა 14 მან. 75 კაპ.

შემომწირველთა მინდობილობით **გრ. ცხადაძე.**

## ქუთაისის ქართულ

### გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსია

მასწავლ. დ. ნ. ქუთათელაძის მეთაურობით.

9 ივლისს, ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ექსკურსია და დაბინავდა ტფილისის ქართულ გიმნაზიის შენობაში.

ექსკურსია წამოსულა ქუთაისიდან 29 ივნისს, შემდეგი მარშრუტით: ჭიათურა—საჩხერე, აქედან ფეხით სოფელ-სოფელ მდინარე ყვირილის ხეობით გადმოსულან ხიხათას და რიხის მთებზე და ჩასულან სოფ. წონაში; აქედან ფეხით ცხინვალს გადასულან, სადაც ორი დღე დაუყვიათ და შემდეგ დაუვლიათ ზოგიერთა ქართლის სოფლები და ჩასულან ქ. გორში. დაუთვალიერებიათ გორის ციხე და უფლის ციხე; ორი დღის შემდეგ ექსკურსია მატარებლით ჩასულა მცხეთას, სადაც დაუთვალიერებიათ ყველაფერი რაც კი ყურადღების ღირსი იყო და მერე ჩამოვიდნენ ტფილისში. აქ რამდენიმე დღეს დარჩებიან, რათა ყურადღებით შეისწავლონ საქართველოს დედა ქალაქი.

მოგზაურობის დროს, მოწაფეთა ექსკურსია მასწავლებელ დ. ნ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით სწვევია მგოსან აკაკი წერეთელს, რომელიც, მათდა საბედნიეროდ, სახლში დახვედრია. აკაკის მეტად გაჰხარებია ახალგაზდების ნახვა და სადილად მიუწვევია. სადილობამდის აკაკის წაუკითხავს ექსკურსანტებისთვის თავისი ორი ახალი ნაწარმოები; მოწაფეები აღფრთოვანებულიყვნენ და მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონოდა; ყოფილა აგრეთვე ლაპარაკი დღევანდელ საჭირ-ბოროტო საქმეებზე, ქართულ მწერლობაზე და სხვა.

სოფელ ქურთაში მოწაფეებმა დაათვალიერეს თავ. ალექსანდრე დავითისძის მაჩაბლის ბაღი, რომელსაც კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა. ბ. მაჩაბელი გაუმასპინძლდა ექსკურსანტებს და უსურვა მათ ენერგია და ძალ-ღონე სამშობლო მხარეს შესწავლის საქმეში.

სოფ. არბოში ექსკურსანტები სადარბაზოდ იყვნენ ანტონ ფურცელაძესთან და ნიკო ლომაურთან. თითქმის ერთი დღე დაუყვიათ იქ და ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, სჯა-ბაასობდენ საქართველოს ბედ იღბალზე.

სოფ. მერეთში დაუთვალიერებიათ ბ. ისაია ფურცელაძის დიდებული ბაღი, რომელსაც გამოუთქმელი შთაბეჭდილება მოუხდენია ექსკურსანტებზე. ბ. ისაია ფურცელაძე მეტად სიმპატიურ საზოგადო მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს, ის არის სოფლის ნამდვილი მოჭირნახულე.

ქ. გორში ექსკურსანტები სადილად მიუწვევია ბ. დუტუ მეგრელს. ბ. დუტუ მეგრელმა და მეუღლე მისმა ანასტასია ხოშტარიასამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ექსკურსანტებზე. ქ. გორში უნახავთ აგრეთვე „ქართლის“ რედაქცია და რედაქტორი ი. ცინცაძე. ქ. გორში ბინად ყოფილან მიხეილ ახალბოდაშვილთან, რომელსაც ექსკურსანტები მადლობას სწირავენ.

მოგზაურობის დროს მოწაფეები ყურადღებას აქცევდნენ თვით ბუნებას, იძენდნენ გეოლოგიურ, ბოტანიკურ და ზოოლოგიურ ცნობებს. ამ მხრივ მდიდარი მასალა იყო. ორი ფოტოგრაფიული აპარატი თან ჰქონიათ და საუკეთესო ადგილებიც და სოფლის ტიპებიც გადაუღიათ. სოფლის ცხოვრებასაც უკვირდებოდნენ და ბევრი მასალა შეუკრებიათ ოსებისა და ქართლის ცხოვრების შესახებ. ტფილისიდან ექსკურსია 11 ივლისს აპირებს წასვლას ქუთაისისკენ.

## სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა საყურადღებოდ

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ჰქონია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ჰქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს სათათბიროს არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, მოვალეა, დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის გამგეობაში (12 ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე ტფილისში და სხვა) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა; წინააღმდეგ შემთხვევაში სიაში ვერ შეიტანენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი,—მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, არ ერთმევა საარჩევნო უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ეხლაც შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს. (ტფილისში ეს მოხდება 8 აგვისტოს, ქუთაისში კი 12 ივლისს), შემდეგ დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი, და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცდილობდნენ, დრო არ გაუშვან ხელიდან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილი იქნას ქალაქის მოურავის სახელზე საქმე დღით, დილის ათ საათიდან. აი განცხადების ფორმა: ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

განცხადების დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა, ერთი წლის განმავლობაში როდის გაქვთ დაქირავებული.

ასეთ მოწმობად გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრა-

# ნიცშეს მამაკაცი და დედაკაცი

**ლიხტენბერჟეს განმარტებით.**

სქესობრივ უთანასწორობას ნიცშე გარდუვალ ბუნების კანონად სთვლის. ეს უთანასწორობა იმით განისაზღვრება, რომ დედაკაცისა და მამაკაცის სიყვარულს ცხოვრებაში ერთი და იგივე მნიშვნელობა, თუ თვისება არა აქვს. მამაკაცის ცხოვრებაში სიყვარული მხოლოდ ეპიზოდია.

უმთავრესი და უდიდესი ინსტიქტი მამაკაცის ბუნებაში—ეს არის სურვილი მბრძანებლობისა; მას ჰსურს ძარად აფართოვებდეს საზღვრებს თავის მბრძანებლობისას. მუდმივი ბრძოლა ბუნებასთან, ბრძოლა მოწინააღმდეგე მამაკაცთა მისწრაფებასთან; მუდმივი განმტკიცება თავის ინდივიდუალობისა—აი მთავარი საკითხი და ამოცანა, რომელსაც მამაკაცი ანდომებს ყოველ თავის ძალღონეს და რომლის ძიებაშიაც ენთქმება მთელი დრო და ჟამი. მამაკაცი რომ სცხოვრობდეს მხოლოდ სიყვარულით, მან რომ საყვარელ არსებას მიუძღვნას მთელი თავისი სიცოცხლე, ყოველი თავისი ზრახვა და ენერგია—იგი იქნებოდა საბრალო მონა, მხდალი მონა; მას უფლება არ ექმნებოდა თავის თავისთვის მამაკაცი ეწოდებინა, იგი არ იქმნებოდა ღირსი ნამდვილ დედაკაცის სიყვარულისა.

დედაკაცის ცხოვრებაში სრულს წინააღმდეგობას ვხედავთ. დედაკაცის ცხოვრებაში სიყვარული და შვილი—ყველაფერია.

„ყველაფერი დედაკაცში არის გამოცანა—ამბობს ზარათუსტრა—და ყველაფერი დედაკაცში გამოიცნობების ერთის სიტყვით: მშობიერობით!“ სიყვარული დედაკაცის არსებობაში გარდამწყვეტ მოვლენად აღინუსხების. წინააღმდეგ კაცის ბუნებისა, დედაკაცი იმაში უნდა ჰხედავდეს თავის ღირსებას, პატივს და დიდებას, რომ იგი იქმნეს „სიყვარულის პირველ საგნად“—და კიდევ იმაში, რომ სრულიად, ნატამალის დაუშთენელად, სულით და ხეულით მიეცეს იმას, ვისაც იგი ამოირჩევს თავის ბრძანებლად თუ ბატონად. სწორედ ასეთს საკუთარ ნების სრულუარყოფაში უნდა ეძებდეს დედაკაცი ბედნიერებას და რავდენადაც დედაკაცი სრულყოფილად მიუძღვნის მამაკაცს ამ საჩუქარს, იმდენად იგი სრულყოფილ არსად გარდაიქმნება და ღირსიც იქმნება ხოტბა-დიდებისა.

„ბედნიერება მამაკაცისა—ამბობს ზარათუსტრა—ასე გამოიხატება; **„მე მსურს“.**

ხოლო დედაკაცისა:—**„იმას ჰსურს“.**

შეყვარებულმა დედაკაცმა ყველაფერი მამაკაცს უნდა მიუძღვნას საჩუქრად, ხოლო ეს საჩუქარი მამაკაცმა ჭეშმარიტ მამაკაცურის ღირსებით უნდა მიიღოს. ამ გვარი არის ბრძანება სიყვარულის კანონისა, თვალბედითის, ტრაგიკულის კანონისა, ვინაიდან იგი ხანდისხან ორივე სქესის მხარეს შეურიგებელ ანტაგონიზმამდე, ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო განხეთქილებამდე მიიყვანს ხოლმე.

დედაკაცი დაბადებულია სიყვარულისა და მორჩილებისათვის, და ვაი იმ დედაკაცს, როდეს მამაკაცი მისდამი მოძღვნილ საჩუქარში არარაობას აღმოაჩენს; ამ დროს იგი გრძნობს ღრმა სიძულვილს თავის დამორჩილებულისადმი და სხვასთან ეძიებს ახალს კავშირს. მამაკაცის მოვალეობაა იყოს ბრძანებელი და ქომაგი ანუ მოსარჩლე. იგი იმდენად მდიდარი უნდა იყოს ბუნებით, რომ იცხოვროს ორ არსებისთვის: თავისთვის მოიპოვოს ბედნიერება და იმასაც მოუპოვოს, რომელმაც ანდო თავისი იმედები და დასახა თავის ნავთსაყუდრად. ვაი იმ მამაკაცსაც, რომელიც ამ საქმეს ვერ გაუძღვება და ნაკისრი ტვირთი დასძალავს. ვაი მას, თუ აღაგზნო სიყვარული, მაგრამ შემდეგ უძლური აღმოჩნდა სიყვარულის ალის მოვლასა და ხელის შეწყობაში. დედაკაცის იმედ-გაცრუებული სიყვარული იცვლება სიძულვილად და მაშინ აღარ არსებობს მისთვის არც სიბრალული, არც შეწყალება; მკვეთრობს მაშინ სიძულვილი დედაკაცისა, რადგან იგი დარწმუნდა, რომ ამგვარი მამაკაცი მისი ღირსი არ ყოფილა და ამგვარ მამაკაცის წყალობით მან ვერ ჰპოვა ბედნიერება.

ასეთი ბუნებრივი განსხვავება მამაკაცთა და დედაკაცთა შორის ამ ჩვენს დროში არ უნდათ ჭეშმარიტებად მიიღონ, ანუ შეიგნონ, როგორც არ უნდათ შეიგნონ კანონიერება განრემზომობისა ე.ი. კანონიერება მოპირდაპირობისა ბატონთა მონათა მიმართ. არა ერთის გზით განუზრახავთ მონათა ამაღლება და აქვე ამაოდ სცდილან დედაკაციც აემაღლებინათ.

ნიცშეს არა სწამს კულტი „მარადმდედრობისა“, შორს არის იმ შეხედულობიდან, თითქოს დედაკაცში მოიპოვებოდეს არსება უმაღლეს მოდგმისა, სათუთ და დიადბრწყინვალე ინსტინქტებით, უფრო ნაზი და შეურყეველი ვიდრე ჩვენ გვაქვს ზნეობრივ ალღოთი გამსჭვალული. დედაკაცში არ მოიპოვება ნასახი, რომელიც ბუნებიდგან იყოს მონიჭებული კაცობრიობის სახელმძღვანელოდ, სათადარიგოდ, რომ ამ კაცობრიობას უმაღლეს მიზნისკენ და ლტოლვისკენ გზას უკვლევდეს. მთავარი როლი—ნიცშეს აზრით—მამაკაცს ეკუთვნის—იგი უნდა იყოს ბატონი და მბრძანებელი, და ამასთანავე უნდა იყოს ბატონი, რომელიც შიშსა და მოკრძალებას ჰნერგავს. მამაკაცის მხარეზე არის ძალა ბევრად უმეტესი ფიზიკურ აგებულობისა, ძალა ჭკუა-გონებისა, ბევრად კეთილშობილი გული და ბევრად ძლიერი და შეურყეველი ნებასურვილი.

დედაკაცი „მომსწრები“ ანუ მომგვარებელია. იგი უმეტესად, ვიდრე მამაკაცი, იმ ცხოვრების ცნებით არის გამსჭვალული, რომელიც ნებას აძლევს სისწორით და სიჩქარით მიმოავლოს თვალი, ყველაფერი დაინახოს აწმყო ცხოვრებაში და მალე გამონახოს პრაქტიკული გასაქანი თუ გასავლელი.

ბუნება დედაკაცისა ბევრად ღარიბია და სიღრმეს მოკლებული. დედაკაცი მრავალი შემთხვევაში ზერელობას ვერ გასცილებია. იგი ხშირად წვრილმანი, ცარიელი, ფუქსავატი და პედანტიურია.

„მამაკაცი უნდა აღიზარდოს ომისთვის მებრძოლად, ხოლო დედაკაცი ამ მებრძოლისთვის მყუდროების მიმნიჭებლად“ ასე ასწავლის ზარათუსტრა. დედაკაცი არ უნდა იქმნეს კერპად აღიარებული: იგი სათამაშო ნივთია, მჩატი და ძვირფასი, მაგრამ ამასთანავე საშიში. ეს ყოველ ვაჟკაცურ ბუნებიან ადამიანის თვალში მხოლოდ და მხოლოდ ქალის ზედმეტ მომხიბვლელ თვისებად მოსჩანს.

მაშინ არის დედაკაცი საშიში, როდესაც მას ვნება აღანთებს ვნება სიყვარულისა თუ ვნება სიძულვილისა, რადგან ველური, პირველყოფილი ინსტინქტი დედაკაცში უფრო შენახულია ვიდრე მამაკაცში. დედაკაცში ფესვგადგმულია ერთვარი კატური თვისება: ცბიერობა და მოქნილობა. მასში არის აგრეთვე ერთგვარობა ვეფხისა თავის ბრჭყალებით, რომელიც უმალ აგრძნობინებს ადამიანს ხავერდოვან თათის წყალობით. დედაკაცში არის აგრეთვე გულუბრყვილო ეგოიზმი და არავითარ დისციპლინის შემგუებელი ზნეჩვეულების ამხოხება, რომელსაც ხანდისხან სასოწარკვეთილებამდის მიჰყავს და რომლიდგანაც შეუსაბამო, ულოღიკო თავზეხელაღებულობა, სიმძაფრე და სურვილი გამომდინარეობს.

აი სწორედ ამიტომაც არის საჭირო დედაკაცისათვის მბრძანებელი ბატონი, რათა მას უხელმძღვანელოს და თუ საჭირო იქმნა ლაგამი ამოსდოს მის ჟინიანობას, ახირებულობას და უადგილო სიკაპასეს.

მაგრამ ხან თუ დედაკაცი ასეთს საშიშრებას იჩენს, მანვე უკეთესად იცის თუ როგორ გარდიქცეს მომხიბვლელად—თავის ნაზ შეხედულობით თუ გრაციით. მით უმეტეს „მოკაზმულობის“ საშუალებით, რომელიც მის ერთად-ერთ უტყუარ ნიჭს შეადგენს—უთავბოლოდ და ათასნაირად რომ იცვლის ხოლმე თავის ფიზიკურს თუ სულიერს ხატებას. მაგრამ ყველაზე მოხერხებულად დედაკაცს ძალუძს აღძრას თავისადმი სიბრალული, ღრმა სიბრალული. თუ გარეგნულად განსჯით. ქვეყნად არ მოიპოვება არსება, რომელიც დედაკაცზე ტანჯული კიდევ სხვა ვინმე მოიპოვებოდეს, მასზე ძალიან ვინმე იყოს დაკოდილი — ვერ წარმოიდგენთ სხვას, რომელიც აგრე საჭიროებდეს სიყვარულს, ან სხვა ვინმე აგრე იმედ გაცრუებული და მოტყუებული იყოს იმავე სიყვარულში, როგორც დედაკაცი არის.

მაგრამ ამგვარი „დედაკაცი კერპი“ ნიცშეში მაინც და მაინც დიდ დრტვინვას და უკმაყოფილებას არ იწვევს. საგანი მისის სიძულვილისა და მკაცრ სარკაზმისა არის დედაკაცი „გაემანსიპაციებული“. დედაკაცი, რომელიც განთავისუფლდა მამაკაცის მოკრძალებიდან, მისის პატივისცემიდან, რომელიც აღარ კი ექვემდებარება მამაკაცს, არამედ კავშირს იჭერს როგორც თანასწორი თანასწორთან.

სხვა ვერაფერი წარმოუდგენია უფრო უსაზიზღრესად, თუ არ ეს „ლურჯი ჩულქები“ თავის პედანტიზმით, რომელნიც ეჩრებიან ლიტერატურის, მეცნიერების და პოლიტიკის საქმეში. მათზე უარესი შეიძლება მხოლოდ „დედაკაცი—მოსაქმე“ (Weib als k mm s) იყოს, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში ესწრაფება უფლებიანს და ეკონომიურ დამოუკიდებლობას; ხმამაღლა პროტესტს აცხადებს მონობის წინააღმდეგ, რომელშიაც მისის თქმით მას აყენებენ და რომელიც აწყობს რაზმებს ვითომდა მამაკაცებთან გამათანასწორებელ უფლების მოსაპოვებლად. ნიცშე აფრთხილებს ამისთანა დედაკაცებს და ეუბნება, რომ რაკი მამაკაცებს ისინი მეტოქეობას უწევენ, ამით მრუდე გზაზე სდგებიან; მისის აზრით ამ გვარი ქცევა მათ მხოლოდ ერთ დასკვნამდე მიიყვანს: რომ დედაკაცები დაჰკარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას, რომლითაც აქამდის სარგებლობდნენ.

დედაკაცებისთვის დიდი სარფაა, რომ მამაკაცების თვალში მიუკარებელ-შორეულ **არსებად** მოსჩანდნენ, რომელიც ძნელად გამოიცნობა და უფრო ძნელად ეხელმძღვანელება, რომელიც თავის გულში ჰფარავს საშიშროებას თუ განსაცდელს მამაკაცისთვის, მაგრამ მეორეს მხრით ისე კეკლუცი და ისე შებრალების გამომწვევია, რომ არ შეიძლება ყოველგვარ მზრუნველობით თავს არ ევლებოდე.

ხოლო ის დედაკაცი, რომელიც თვით იშორებს საიდუმლოების შარავანდედს, სთრგუნავს წინანდელ მორცხვობას და ის, რომელიც უწინ კრთებოდა სიდუხჭირის თუ უმართებულობის, ანუ ნამდვილ ცხოვრების სისაძაგლის მიახლოვებით—ეხლა თავის ნებით ურთდება ბრბოს და ფერხულში ჩაბმული სხვას უკან არა ჰრჩება, მზად არის იმუშაოს და გზა გაიკვლიოს ამ ხროვის ანგარებით აღსავსე მისწრაფებაში.

დედაკაცი ამით ჰკარგავს ყოველგვარ მიმზიდველობას ამასთან ერთად „მხატვრულ განვითარების“ მიზნისთვის, და მით უმეტეს ვაგნერის მუსიკის ბოროტად მოხმარების გამო, ისე იზიანებენ ნერვებს, რომ ისპობიან ნიჭს აღასრულონ ბუნებრივი დანიშნულება: **წარმოშვან მშვენიერი ბავშვები!**

**ალ. შანშიაშვილი.**

ქტები, თუ მის შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა, ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კონტრაქტები იშვიათად არის და ჩვეულებრივ შინაურ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით მოხდება ხოლმე ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას უნდა წარედგინოს ან ბინის წიგნი, თუ ასეთი მოიპოვება, სახლის პატრონის, ან მისი მოადგილის მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ჰქირაობდა. დასახელებულ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და პოლიციის მიერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ეხლავე შეუდგნენ თადარიგს, როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება რუსულად უნდა დაიწეროს. („ჩვ. ც.“)

# ნ. მარრის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ).

(დასასრული *)

მაგრამ მოწვეულმა კრებამ საქმის ყოველ მხრით განხილვის შემდეგ ერთხმად დაადგინა, ცალკე ორგანიზაციის შექმნა უარჰყოს და ისევ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო გაუძღვეს საქმეს კერძო პირების დახმარებით და სპეციალისტების მიწვევით. მოქმედებისა და სალექსიკონო მასალის გეგმის გამოსამუშავებლად შესდგეს კომისია ბ-ნ ი. აბულაძისა, დ. კარიჭაშვილისა და პ. მირიანაშვილისაგან, ამათ შემუშავებული გეგმა საბჭომ წარუდგინოს სამეცნიერო აკადემიას და, როდესაც აკადემია მოიწონებს, გამოაცხადოს გაზეთის საშუალებით და მიმართოს საზოგადოებას დახმარებისათვის. შეძლებისამებრ მოიწვიოს მცოდნე პირები დ გაგზავნოს სხვა და სხვა კუთხეში საქართველოისა მასალის შესაგროვებლად. შეგროვილი მასალა ჯერ განიხილოს მცოდნე პირების კომისიამ და შემდეგ ერთი ცალი გაგზავნოს სამეცნიერო აკადემიას, მეორე ინახებოდეს საზოგადოების კანცელარიაში იმ დრომდის, სანამ შესაძლებელი გახდება ლექსიკონის გამოცემა. ამ დადგენილებას ბ-ნი აბულაძე სრულიად დაეთანხმა, ამის შემდეგ ველოდით, რომ ბ-ნი აბულაძე, რომელსაც ეს მინდობილი ჰქონდა, მოიწვევდა ხსენებულ კომისიას რომელიც გამოიმუშავებდა პროგრამას (საქმის დაჩქარება ვთხოვეთ ყველა წევრებს) და წარმოგვიდგენდა. მაგრამ ამის მაგიერ ჯერ ასეთი შენიშვნა ამოვიკითხეთ „სახალხო გაზეთი“-ს № 635-ში: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის კრება 25 ივნისს მოხდა. განხილულ იქმნა ი. აბულაძის მოხსენება, რომელიც ეხებოდა საგანგებო კომისიის არჩევას ქართულ ლექსიკონის შესადგენად. კრებამ, რომელსაც მოწვეულნი პირნიც დაესწრნენ, დაადგინა, ჯერ-ჯერობით შეაგროვოს მასალები ლექსიკონისათვის და კომისია შემდეგში აირჩიოს. მასალების მოგროვება საზოგადოების გამგეობას დაავალა“.

ამ შენიშვნამ გამოიწვია ნ. მარრის წერილი. ნ. მარრის წერილს ზედ მოჰყვა იმავე „სახალხო გაზეთში“ (№ 640) ცნობა, რომ ბ-ნ აბულაძის წინადადება, სალექსიკონო მასალის შესაკრებად კომისია შესდგესო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ უარჰყო და აბულაძის ხელმძღვანელობით შემდგარა ქართულ ლექსიკონის შესადგენად; კომისიას უკვე შეუმუშავებია მოქმედების გეგმა, რომელსაც ბ-ნი აბულაძე ამ დღეებში წარუდგენს აკადემიკოსს ნიკო მარრსო“. ეს დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“ მეორე დღეს ნ. მარრის წერილის გამოსვლისა. ეჭვი არ არის, ნ. მარრის წერილს ბ-ნი აბულაძე აუფრთოვანებია და უმჯობესად უცვნია ცალკე ორგანიზაცია შეექმნა ამ საქმისათვის.

ეს ყველა კარგი და მოსაწონი, მაგრამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აქ რა შუაშია? საბჭომ უარი უთხრა კომისიის შედგენაზედაო, საბჭოს კი არ უთხრა უარი, არამედ იმ კერძო პირთა კრებამ, რომელიც თვით ბ-მა აბულაძემ მოიწვია. ჩვენ რომ მოგვეწვია, ეს პირნი, მაშინ სხვა იქნებოდა, მაგრამ როდესაც ბ-ნი აბულაძე მისგან მოწვეულ პირთა კრების დადგენილებას საბჭოს ახვევს თავზე ეს შეუძლებელია. ესეც უნდა ვსთქვათ, შეიძლება იმ ცნობების გამოქვეყნებაში, რომლებიც სახალხო გაზეთში დაიბეჭდა ბ-ნ აბულაძეს არავითარი წილი არ უდევს. ეს ასეც უნდა იყოს. მაშინ მწუხარება უნდა გამოვაცხადოთ, რომ შემცდარმა ცნობებმა არია საქმე. ბ-ნი ნ. მარრს უკვირს, რომ ასეთი რთული საქმე, როგორიც არის სალექსიკონო მასალის შეგროვება, საზოგადოების გამგეობისათვის მიუნდვიათ, იმ გამგეობისთვის, „სადაც არც ერთი ლინგვისტი არ ბძანდება“.

ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაში ყოველ რთულ საქმეს გამგეობა უფრო გაუძღვება, ვიდრე უმოქმედო კომისია. გამგეობაში არც ერთი მხატვარი არ არის, მაგრამ გამგეობა იწვევს მხატვრებს და ანდობს მათ საეკლესიო მხატვრობას, ფრესკების და სურათების გადმოღებას. გამგეობაში არც ერთი ხუროთ-მოძღვარი და ტეხნიკი არა ბძანდება, მაგრამ გამგეობა იწვევს სპეციალისტებს და ანდობს მათ ეკლესიათა, მონასტერთა და სხვა ნაშთთა გეგმების გადაღებას. რატომ არ შეუძლიან იმავე გამგეობას მოიწვიოს სპეციალისტები, თუნდ ნ. მარრის რჩევით, და მიანდოს მათ სალექსიკონო მასალის შეგროვება. განა ამით გაფუჭდება საქმე, რომ გეგმა მუშაობისა და შეკრებილი მასალა გამგეობის სახელით წარედგინოს აკადემიას და არა კომისიის სახელით? თუ კერძო კრებამ და გამგეობის წევრებმაც ამჯობინეს, რომ გამგეობამ იკისროს ეს საქმე, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ მდგომარეობაში გამგეობის მიმართვას, მოწვევას და თხოვნას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე კერძო კომისიას. თუ კრებამ საჭიროდ დაინახა, ამ საქმის გაძღოლა გამგეობისათვის, ანუ საბჭოსათვის მიენდო, განა ეს ნიშნავს, რომ საბჭო in corpore თვითონ შეაგროვებს მასალას! სრულებითაც არა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საქმის მთავარი ძარღვი საბჭოს ჰქონდეს ხელში და არა სალინგვისტო განყოფილებას, რომელიც უმოქმედო გამოვიდა. ჰნებავს, საბჭო კომისიას შეადგენს, ჰნებავს ერთ-ერთ წევრს მიანდობს, ჰნებავს გარეშე პირთ მოიწვევს. თუ კომისია იქნება, კომისიას გამგეობა მუშაობას კი არ შეუშლის არამედ ხელს შეუწყობს, მფარველობას დ ყოველგვარ დამაბრკოლებელ ფორმალურ მხარეს ააშორებს. ჩვენ ასე გვესმის გამგეობის მონაწილეობა ამ საქმეში და ეს ჰქონდათ სახეში მათ, რომელთაც ამჯობინეს, რომ ამ საქმეს გამგეობა გაძღოლოდა. ეხლა გვეუბნებიან, გამგეობას კერძო განცალკევებული კომისია სჯობსო. თუ სჯობს, კიდევ უკეთესი. საბჭოს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის მათდამი, ვინც ამ საქმეს კისრულობს.

თუ გაზეთის ცნობა მართალია და კერძო კომისია უკვე შემდგარია, გეგმა გამომუშავებულია და ამ ორგანიზაციას სამეცნიერო აკადემია და ნ. მარრი მიიღებს თავის მფარველობის ქვეშ, რასაკვირველია, ეს ემჯობინება. სამეცნიერო აკადემიას დიდი თანხის გამოღება შეუძლიან, ჩვენ კი ყოვლად უსახსრო ვართ; სამეცნიერო აკადემიაში ამ საქმეს ისეთი მომზადებული და გასაოცარი ენერგიის პატრონი ჰყავს, როგორიც არის ბ-ნი მარრი, რომლის თაოსნობით ყოველ წელიწადს იგზავნება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მცოდნე პირები, მისივე შეგირდები, სალინგვისტო მასალის შესაკრებად. მაგრამ ნ. მარრს ეს საკმარისად არ მიაჩნია და ჰსურს ადგილობრივაც შეუწყონ ამ საქმეს ხელი. თუ ჯერ-ჯერობით აქ ჩვენს საზოგადოებასთან ვერ დაარსდა ამ საქმისთვის ორგანიზაცია, ამაში ცოტა ბრალი თვით ნ. მარრსაც უდევს: არ იქნა და ვერ მოიცალა, რამდენიმე დღე დარჩენილიყო ტფილისში, რეფერატი წაეკითხა ჩვენს საზოგადოებაში, ან კერძო თათბირი გაემართა და მისივე დასწრებით გეგმა შემუშავებულიყო. ეს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა საქმეს, ვიდრე მისი წერილი შემცდარ ცნობაზე დამყარებული. მაგრამ, ვინც კარგად ჩაუკვირდება, ნ. მარრის წერილს, უსათუოდ იმ დასკვნას გამოიყვანს, რომ მარრს სრულებით იმედი არ უნდა ჰქონდეს ამ საქმეში დახმარება აღმოუჩინონ აქ, რადგანაც ჩვენში ლინგვისტები არ არიან, და დილეტანტები მტერზე უმტერესი არიანო. ამ საქმისთვის; ჩვენ გვგონია ეს აზრი გადაჭარბებულია. სალექსიკონო და საზოგადო სალინგვისტო მასალის შეკრებაში დახმარება არა ლინგვისტთაც შეუძლიანთ გაუწიონ. რომელი ლინგვისტია ბ-ნი ი. ჭყონია, რომელმაც თვალსაჩინო სალექსიკონო მასალა შეკრიბა დ აკადემიამ დაბეჭდა თვით ნ. მარრის თაოსნობით? ან ბ-ნ ქარაიას შეთვისებული აქვს აღმოსავლეთურ ენათა თანამედროვე სკოლის უთავადესი პრინციპები, რომლის შრომა ასე მშვენივრად გამოიყენა ბ-ნმა მარრმა? ჩვენც, იმ რწმენით, რომ ჩვეულებრივ განათლებულ ადამიანს შეუძლიან ცოტა სარგებლობის მოტანა სალექსიკონო და სალინგვისტო მასალის შეკრებაში, მივეცით ადგილი და დავსტამბეთ ჩვენს გამოცემებში ამგვარი მასალები. მაგალითად, მოსმენილ იქმნა საზოგადო კრებაზე და დაბეჭდილი იუსტინე აბულაძის „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკონი*), მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა ბესარიონ ნიჟარაძისა, ლექსიკონისა მასალა ეპ. კირიონისა, ინგილოური სიტყვების ლექსიკონი მოსე ჯანაშვილისა, თუშურ ლექსებში ნახმარი სიტყვების ახსნა ბატონის ბუქურაულისა და დავით კარიჭაშვილისა**) და სხვ. ერთი დიდი ტომი ლექსიკონისა აწ განსვენებულის ვინმე მესხისა (ივანე გვარამაძისა) ჩვენს საზოგადოებაში წარმოდგენილი, გაუგზავნეთ თვითონ მარრს, თუ გამოსადეგი იყოს, გამოიყენე მასალად, როგორც საჭიროდ დაინახოთ. თუ არა ლინგვისტს ამ საქმეში არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან, მაშინ აქ, ადგილობრივ, ხელი უნდა ავიღოთ ამ საქმის მოწყობაზე. ნ. მარრი ბრძანებს, გამგეობაში არც ერთი ლინგვისტი არა ბძანდებაო. კარგი, გამგეობაში არა ბძანდება ლინგვისტი, მაგრამ გამგეობის გარეშე ტფილისში და ჩვენში კი ბძანდებიან ლინგვისტები? მიგვითითოს, ვინ არის აქ ისეთი ლინგვისტი, ლინგვისტად ითვლებოდეს და ან მართლა ლინგვისტი იყოს და ჩვენს სალინგვისტო სექციაში არ ყოფილიყოს მიწვეული, რატომ არაფერი გააკეთეს ამ სექციაში? განა იუსტინე აბულაძეს „ქართული სპეციალურად არ უსწავლია და აღმოსავლეთურ ენათა თანამედროვე სკოლის უთავადესი პრინციპები არ შეუთვისებია“? განა თვით იუსტინე აბულაძე გამგეობის წევრი არ არის? არა, უნდა გამოვტყდეთ, ნ. მარრს აჩქარება ეტყობა „აღშფოთების“ გამოთქმაში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსადმი. რასაკვირველია, ნ. მარრის სურვილი იყო—ხელი შეეწყო სალექსიკონო მასალის შემკრებ ორგანიზაციისათვის. მაგრამ, ვშიშობ, ვაი თუ მისმა აჩქარებულმა წერილმა ორგანიზაციის მაგიერ დეზორგანიზაცია შეიტანოს ამ საქმეში.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე

ე. თაყაიშვილი.

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 645.

*) იხ. I ტომი, „ძველი საქართველოს“.

**) აქ მოხსენებულნი მასალანი დაბეჭდილია „ძველი საქართველოს“ მეორე ტომში, რომელიც მალე გამოვა.

# ბოქსი ქ. გორში.

ჩვენი საუკუნე სხვა და სხვა ვარჯიშობათა საუკუნეა: აიღეთ „შევარდენთა“ ჯგუფები, ავტომობილთა გაჯიბრება, სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშნი. ამას უნდა დაუმატოთ ერთი რამ: გორელებს ძალიან განვითარებული აქვთ მიმბაძველობითი მხარე ხასიათისა.

ამ სამი-ოთხი წლის წინედ სახალხო უნივერსიტეტების საჭიროებაზე დიდი ლაპარაკები იყო, და აქაც დავაარსეთ სახალხო უნივერსიტეტი. მართალია, ამ სახალხო უნივერსიტეტს არც ერთი ლექცია არ წაუკითხნია; არც სხვა რამ გაუკეთებია, მაგრამ წრე ხომ არსებობს და ამბობენ თავისი თანხაცა აქვსო.

ამ ორი წლის წინად მთელს საქართველოს კუთხეებში დაარსეს წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება, და აბა გორი უკან ვის ჩამორჩებოდა, მართალია არც კითხვა გვისწავლებია ვისთვისმე ჯერ და არც წერა, წარმოიდგინეთ, განყოფილების სასარგებლოდ რისიმე გამართვაც კი ვერ მოვახერხეთ, მაგრამ განყოფილება ხომ დავაარსეთ და აღარც რა გვეძრახვის! გორელებმა მიბაძვა ევროპიელ სპორტსმენებსაც დაუწყეს. თუ კი განათლებულ ამერიკა-ინგლისში ხალხი გატაცებულია ბოკსით, კრივით მაშ ჩვენ რაღა ვართო. ჩვენებური კრივი განთქმული იყო უწინაც, და ეხლაც.

ოცდა ცხრა თიბათვეს მშვენიერი საღამო იყო. ლიახვის პირიდან წყნარად მონაბერი ნიავი, სიამოვნებით ევლებოდა გორის საკრებულოს ბაღსაც და ტკბილად ულიზინებდა მოსეირნეთა აწკეპილ ულვაშ-კავებს. ამ დღეს აქ იყო სეირნობა და შემდეგ წარმოადგინეს დრამა გედევანიშვილისა „მსხვერპლი“. ღამე კარგა გადასული იყო, როდესაც წარმოდგენა-სეირნობის გათავების შემდეგ ბ. ქიტ-შვილი მეუღლითურთ და ბ. მაჭ-ნი სახლში ბრუნდებოდნენ, წამოეწია მათ სტუდ. დ. ბაღ—შვილი და უკანიდან გასცხო სილა ბ. ქ—შვილს. ბ. მ—ნი წაესარჩლა ქ—შვილს, გაჩნდა მუშტი-კრივი, გამოცვივდნენ კლუბის სხვა წევრები და სტუმრები... ბოლოს ძლივს გაშველდა ეს ამოდენა ხალხი. სამწუხაროა, როდესაც უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზდა, „ღვინით შეზარხოშებული“ ამგვარ უკულტურო საშუალებას მისდევს... სამწუხაროა, რომ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი იმითვე უპასუხებს იმ ახალ-გაზდას.

გორის საზოგადოება მეტად აღელვებულია ამ ამბით და უფრო აღელვებულია გორის საკრებულოს საზოგადოება, რომლის მამასახლისი ბ. ქ—შვილიც შეურაცხჰყო ბაღ—შვილმა. ამბობენ, სტუდ. ბაღ—შვილი საკრებულოდან დაითხოვესო. საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ ასევე არ აღელდნენ საკრებულოს წევრები, როდესაც იმათმა წევრმა ბ. კ—ძემ სულ სამი-ოთხი დღის წინად სცემა თ. ამ—იბას? იქნებ იმიტომ, რომ პირველში იმათ წევრსა სცემეს, მეორეში კი იმათმა წევრმა სცემა.

გორში არის კიდევ ვინმე ალ. შ—ი, კაცი ცნობილი და ყოველგვარ ადგილობრივ საზოგადოება—კომისიათა წევრი, მაშასადამე ნამდვილი საზოგადო მოღვაწე და ბუმბერაზი. ამ ბუმბერაზის მეზობელ სახლში მომუშავეთ დიდი თავხედობა ჩაიდინეს: დილიდან შუადღემდის იმუშავეს და, პურის საჭმელად რომ დასხდნენ, გრამოფონი დაუკრეს. რასაკვირველია, ბუმბერაზი ამას ვერ მოუთმენდა, ამიტომაც ბ. შ—მა გრამოფონის ფირფიტები წაართვა. ერთი მათგანი მივიდა და დიდის მოწიწებით სთხოვა, დამიბრუნე ფირფიტებიო, თან ეფიცებოდა აღარ დაუკრავსო. ბ. შ—ი რევოლვერით გამოუვარდა და სულ კუდით ქვა ასროლინა. მართლაც და როგორ გაბედეს, ამისთანა პატივცემული კაცის შეწუხება! ცუდი დრო დაგვიდგა, ცუდი!

კიდევ იყო მუშტი-კრივის რამდენიმე ფაქტი, მაგრამ მგონი ესენიც კმარა იმის დასამტკიცებლად, თუ ჩვენ რამდენად წინ წავედით პროგრესის გზაზე და რომ ამაში მაინც არ ჩამოვრჩებით უკან არავის.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ სულ კრივზე ველაპარაკე, მაგრამ რა უყოთ, ამჟამად გორის დღიური ჭირ-ვარამი მხოლოდ ეს არის.

გ.—ძე.

# ქართული ხელნაწერი

(გადაწ. 1030 წ.)

ამ ხელნაწერისა გადარჩენილა ერთად ერთი ბოლო ფურცელი და ისიც ხელნაწერ № 648-თან. ესეც იმავე მე-XI საუკუნის დასაწყისის ნაშთია. ერთ მინაწერიდან ჩანს, რომ იგი სპარსეთის ტყვეობიდან გამოუხსნიათ და სიონისთვის შეუწირავთ. ხსენებულ ფურცლის ტექსტში იხსენიებიან ისეთი პირები, ვით დღემდის უცნობი პატრიარქი ასათი და სხ. აი სრულად ფურცელზედ გადარჩენილი ტექსტი:

„და სალოცველად სულისა მზრდელისა და შემოქმედისა ჩემისა დავით ქართველთა კურაპალატისა, რომლისამცა სული ბრწყინავს სასუფეველსა ცათასა.

და საკსენებელად სულსა მოძღუართა და მშობელთა ჩემთასა არსენი მამადმთავრისა: ბაკურისსა და თუკლაჲსსა: პატრიაქისსა ასათისსა დავითისსა და დაფანჩულისასა:

და მეცა უკმარი შვილი მათი და არა ღირსი წყალობისაჲ კსენებულმყავთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა: რათა ერთობით ღირსვიქმნეთ ადგილსა მას საწადელსა: მართალთა საყოფელსა: და საუკუნოდ წარუვალსა:.

დაიწერა ქალაქსა შინა დიდსა კოსტანტინო პოლის: ახალსა ჰრომსა: დასაბამითგანთა წელთა: ვითარ ბერძენნი ითუალვენ: ხფლღ: ინდიკტიონსა: იგ: ქართველთა ქრონიკონსა: სნ: მეფობასა ჰრომანოზისსა: პატრიაქობასა ალექსისა: და ჩემსა მწირობასა პილურისა მონასტერსა: კელითა შვილისა ჩემისა ბასილი ეტრატაჲსითა: ქრისტემან სასყიდელი შრომისა მისისაჲ მიანიჭენ: ამინ:::“

ყველა ხსენებული ქორონიკონები უდრიან 1030 წელს. სწორედ ამავე დროს (1031 წ.) გადაწერილია სხვა წიგნი (№ 96), რომლის გადამწერი თავის თავს იხსენიებს ბასილი ეტრატაი მალუშიძედ. ორივე ნაშთის ხელი გვიჩვენებს, რომ იგინი ერთ და იმავე პირისაგან ნამუშევარნია. ვფიქრობთ, ეს ბასილი მალუშიძე იყოს მახლობელი იმ დიდებულ და უკვდავ ქართლის ერისთავ **მარუშიძისა,** რომლის გამჭრიახობით ქართლი და აფხაზეთი გაერთიანდა **985 წელს** და საქართველომაც იწყო ძლევამოსილი ბრწყინვალე მსვლელობა.

მ. ჯანაშვილი.

# მოწერილი ამბები

**დ. ხარაგოული.** 29 ივნისს აკურთხეს ადგილობრივი მომრიგებელ სასამართლოს შენობა. მთელი ბაზარი მორთული იყო ყვავილებით და ფოთლებით. დილის მატარებლით მოვიდა მაზრის უფროსი მოპატიჟებული სტუმრებით. ნაშუადღევის მატარებლით მოელოდნენ ქუთაისის გუბერნატორს, ქუთაისის და ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეთ. დიდ-ძალი ხალხი დახვდა მატარებლებს. მოვიდა მხოლოდ ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე სხვა და სხვა საპატიო პირებით. პროცესია გაეშურა სასამართლოს შენობისაკენ, რომელსაც წინ მიუძღოდა მუსიკა მარშის დაკვრით. შენობის კურთხევის შემდეგ გრძნობიერი სიტყვით მიმართა თავმჯდომარეს ბლაღ. დეკ. ერმალოზ ვეფხვაძემ. შემდეგ ხალხს მიმართა სიტყვით დეკ. რომანოზ დეკანოსიძემ. გადაიღეს სურათი და შემდეგ წავიდნენ დეკ. რომანოზის სახლში, სადაც სადილი იყო გამართული. სადილის დაწყებამდე ხალხს მიულოცა თავმჯდომარემ სასამართლოს დაარსება და სიტყვა დაამთავრა ხელმწიფე იმპერატორის დღეგრძელობით. ხალხმა „ურა“ დასძახა. შემდეგ გადაიღეს სურათი და შეუდგნენ სადილს, სადაც ორასს სულამდე იხსდა. მოვიდა მოსალოცი და მოპატიჟებისათვის მადლობის დეპეშები ქუთაისის გუბერნატორისაგან, ტფილისის სამოსამართლო ოლქის თავმჯდომარისა და სხვა პირებისაგან. მხიარული სადილი დაამთავრეს ღამის 10 საათზე და შემდეგ გაიმართა ეროვნული და ევროპიული ცეკვა. ნაშუაღამევის პირველ საათზე ხალხი ნასიამოვნები დაიშალა და პატივცემული სტუმრებიც მატარებლებით გაემგზავრნენ შინ. ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნო, რომ ბ-ნი მაზრის უფროსი დიდათ მოწადინებულია ჩვენი დაბის აღორძინებისათვის, რისთვისაც მას ჩვენი საზოგადოება ქებით იხსენიებს. ასეთ თანაგრძნობას ერთი სამად გააორკეცებს, უკეთუ ჯეროვან დახმარებას გაუწევს საავათმყოფოს დაარსებაშიაც, რომლის უქონლობა მეტად ამწუხარებს აქაურ მცხოვრებთ.

**რისხვა.**

**სოფ. ნიგოზეთში.** (ზემო იმერეთი) მერევის ორ-კლასიან სასწავლებლის გამგე ი. გელაშვილს და მასწავლებლებს განზრახვა ჰქონდათ გაემართათ **სალიტერატურო საღამო** 10 ივნის სასწავლებლის დარბაზში, მაგრამ საღამო გადასდვეს მეორე დღისათვის, რადგანაც იმ დღეს დანიშნული იყო განსვენება დაუვიწყარ პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილის. მეორე დღეს, ორშაბათს, გაიმართა სალიტერატურო საღამო. სცენა მოხდენილად იყო გამართული სასწავლებლის აივანზე, საღამოს დაესწრნენ-მახლობელ სკოლების მასწავლებლები, ადგილობრივი საპატიო პირნი, მოწაფეების მშობლები და გარეშენიც. საღამო დაიწყო 9 საათზე. ფარდის ახდის დროს სცენაზე გამოჩნდა სასწავლებლის გამგე და მასწავლებლები. მასწავლებელმა გ ჭავჭანიძემ გააცნო დამსწრეთ-მოღვაწეობა განსვენებული ი. ს. გოგებაშვილისა და წაიკითხა მოკლეთ მისი ბიოგრაფია, ამდროს ყველას დასანახათ იყო დადგმული განსვენებულის სურათი. სიტყვის დასასრულ მასწავლებლებმა იგალობეს განსასვენებელი ამის შემდეგ მოწაფეებმა გაბედულათ და მკაფიოთ წაიკითხეს ქართული და რუსული ლექსები. მოწაფეთა გუნდმა გამგის ლოტბარობით იმღერა ხალხური სიმღერები. შემდეგ ი. გელაშვილის და ა. გუნიავას მონაწილეობით დადგეს სურათი „ბატონი და გლეხი“ (რამოდენიმე სურათი ყაჩაღის (ცხოვრებიდან), ი. ჭავჭავაძისა, რამაც კარგათ ჩაიარა. [illegible] შემდეგ [illegible] ვოდევილი [illegible] მესხისა, [illegible] გუნიავა, გ. ჭავჭანიძე და ვ. ლაბაძე. ბოლოს აჩვენეს ბუნდოვანი სურათები, მოწაფეებმა წაიკითხეს კრილოვის არაკები და სხვა... გამარჯვებულმა საღამომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, რის შემდეგ დიდათ ნასიამოვნები დაიშალნენ.

**დამსწრე.**

# ლენის ამბები

„რუსკოე სლოვო“-ს ბოდაიბოდან დეპეშით ატყობინებენ;

4 ივლისს ბოდაიბოდან, გუბერნატორის თანდასწრებით, სრული წესიერებით წავიდა ლენის ოქროს მადნების ყოფილ მუშათა პირველი რიგი, რიცხვით ათასამდე. სახელმწიფო საბჭოს წევრი ს. მანუხინი გამოძიების თანამონაწილეებით ამ დღეებში გაემგზავრება ირკუტსკს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარეთ.

10 ივლისი.

**ოსმალეთ იტალიის ომი.**

**სტამბოლი.** საზღვაო სამინისტროში ამტკიცებენ, იტალიელთა ნაღმოსნები „სპიკა“, „კლიმენე“, „ჩენტრო“ და „ასტორე“ დავძირეთო.

**რომი.** „სტეფანის სააგენტოს“ აუწყებენ მეზურატიდან, იტალიელმა გენერალ ფარას მოთავეობით მოაწყეს ოსმალთა საწინააღმდეგო ექსპედიცია. ოსმალნი მეზურატის ოაზისს მიახლოვებიან და მცხოვრებთ ძალიან აწუხებენ თურმე.

იტალიელები გაერანს ახლო წასწყდომიან ოსმალთა რაზმს; რაზმში 1500 კაცამდე ყოფილა. იტალიელებს საშინლად დაუმარცხებიათ ოსმალნი და უფრენიათ კიდეც. იტალიელთათვის 19 მოუკლავთ 87 დაუჭრიათ.

**ბენგაზი.** იტალიელთა სამმა ბატარეიამ ზარბაზანი დაუშინა ოსმალთა ჯარის 50 კარავს, ქალაქს ახლო სულ ახლახან დადგმულს. ბანაკი მთლად მოსრეს; ბედუინები მთებში გახიზნულან.

**იტალიელთა შეთქმულება.**

**ქაირო.** მთავრობამ გამოაქვეყნა შეთქმულების ამბავი. სხვათა შორის სამართალში აძლევენ ორ სტუდენტს და ნაციონალისტების გაზეთის „ალამის“ რედაქტორს.

**იაპონიის იმპერატორი.**

**ტოკიო.** იმპერატორის მდგომარეობა ძალიან საშიშია. დიაბეტს ჰპქების ანთება დაემატა.

**მატარებლის უბედურება.**

**უსკიუბი.** სადგურ აჯალარს ახლო უსკიუბიდან სერბიას მიმავალი საბარგო მატარებელი დინამიტით ააფეთქეს. ორთქლმავალი და ერთი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა. კაცი არავინ დაშავებულა.

**ოსმალეთის ვითარება.**

**სალონიკი.** მაკედონიაში დაბანაკებულ ჯარის აფიცრებს გადაუწყვეტნიათ, თუ პალატის დათხოვნა მოინდომონ, წინააღმდეგობას ნუ გაუწევთო.

**სტამბოლი.** ხონთქარმა თევფიკ-ფაშის შუამდგომლობა პალატის დათხოვნის შესახებ არ შეიწყნარა. თევფიკ-ფაშა ამის გამო სამსახურიდან გადადგა.

დიდ ვეზირად დანიშნეს ჰაზი-მუხტარ-ფაშა, შეიხ-ულ-ისლამად ჯემალედინი, მინისტრებად: სამართლისად-ხილმი-ფაშა, შინაგან საქმეთა—ფერიდ-ფაშა, სამხედროდ — ნაზიმ-ფაშა, სამთო და სატყეო — არისტიდი, საზოგადო სამუშაოთა—ნურადუნგიანი, ფინანსთა—ზია—ფაშა, საზღვაო ხალილ-ფაშა.

**პრიზრენი.** აქედან ჯარი გაჰგზავნეს ორის ზარბაზნითა ივ ოთხი როტის დასახმარებლად, რომელსაც ლუმის ტომელები დასხმიან თავსა. ჯარმა ვერ მოასწრო მოხმარება და უკან დაბრუნდა. ლუმის ტომელებს 4 როტისათვის იარაღი აუყრიათ მათი უფროსი რაიქნა, არავინ იცის. გუბერნატორი ტეტოვოში გაქცეულა. ოთხმა როტამ აფიცრებითურთ სახლისაკენ გასწია.

რევოლუციონერი პოლკოვნიკი რიზაბეი ოსტრობუშაშია. ჯარი მცხოვრებლებს შეუთანხმებია, გარდა ავტონომიის მოთხოვნილებისა, არაფერზე გაგიწევთ წინააღმდეგობასაო. ლუმის ტომელები ქალაქისაკენ მოისწრაფვიან, პრიზრენში დიდი არეულობაა.

გარდა ზემოხსენებულთა დაით-ბეი დაუნიშნავთ განათლების მინისტრად, მეჰმედ-ფაშა-ვაიქუფია, მაჰმუდ-მუჰტარი საზღვაოდ.

ხონთქარს ხათიმაუნში უთქვამს, საჭიროა ალბანელთა საკითხი მალე გადასწყდესო.

ახალი მინისტრები პორტისაკენ რომ მიდიოდნენ, ხალხი დიდის ამბით ხვდებოდა და განსაკუთრებით გახარებული დაუხვდა ქიამილსა და ნაზიმსა.

**კრაკოვი.** პოლიციელებმა მოინდომეს შჩაკოვის ვაგზალში ორი საეჭვო პირის დაპატიმრება, რომელნიც მელენკოსა და იოზეფოვიჩს ირქმევდნენ სახელად და ამბობდნენ, ლოძელები ვართო. პოლიციელების მიახლოვებისას ორნივე გაიქცნენ, დაიწყეს სროლა და პოლიციელი დასჭრეს. შემდეგ ერთმა თავი მოიკლა, მეორემ თავი დაიჭრა. როგორც ეტყობათ ეს ისინი უნდა იყვნენ, პოლონეთსა და ზემოსილეზიაში ძარცვა-გლეჯას რომ ეწეოდნენ და რამდენისამე თვის წინად ქსენძიც მოეკლათ.

**123 კაცის გასამართლება.**

**სეული.** ეს ორი კვირაა სასამართლო არჩევს 123 კორეელის საქმეს, რომელთაც გრაფის დერაუჩის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებათ. ბარონი იუნჩიხსა და სხვათა დამნაშავედ არ გამოუცხადებიათ თავი და დასძენენ, წინასწარ გამოძიების დროს ძალით დაგვაკვრევინეს დასტურიო. დამცველებმა მოითხოვეს, კიდევ უნდა მოვიწვიოთ რამდენიმე მოწმეო. სასამართლოს უარი უთქვამს. დამნაშავეებმა საქმე განასაჩივრეს სეულის მთავარ სასამართლოში და საქმის გადასინჯვას მოითხოვენ.

**ინგლისის პალატა.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ჩერჩილი მოითხოვდა ფლოტისათვის ფულის გადადებას და გერმანიის ფლოტის გაძლიერებას ასახელებდა მიზეზად. ჰსურთ ინგლისს ყოველთვის საომრად გამზადებული ჰქონდეს 28 ჯავშნოსანის მაგივრად 33 ჯავშნოსანი. 1914 წელს ინგლისს 5 ესკადრა ექნება, და შიგ 41 გემი იქნება. ოთხი ესკადრა ყოველთვის მზად იქნება საომრად. ხმელთა შუა ზღვიდან ექვსი ძველი ჯავშნოსანი დაიბარეს და მაგივრად ოთხი ჯავშნიანი კრეისერი უნდა გაჰგზავნონ „ინვიზიბლის“ ტიპისა.

**რ უ ს ე თ ი**

**ახალი კანონი.**

**პეტერბურგი.** სალდათობის მოხდის წესდების შეცვლის ახალი კანონი გამოაქვეყნეს.

**გაზეთების დაჯარიმება.**

**პეტერბურგი.** „ნევსკაია ზვეზდას“ 8 ივლისის ნომერში დაბეჭდილ წერილების გამო 500 მანეთი დაადვეს ჯარიმად.

**მოსკოვი.** დაიჭირეს „რუსკია ვედომოსტის“ 157 ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო „ესენტუკის პარკში მომხდარი ამბავი“.

# უცხოეთი

**ოსმალეთის მდგომარეობა.**

როგორც მოსალოდნელი იყო ოსმალეთის კაბინეთი მთელს შემადგენლობით გადადგა. პირველად წავიდა სამხედრო მინისტრი, ცნობილი შევქეთ-ფაშა, მას მიჰყვნენ დანარჩენებიც. ნამდვილი წყაროებიდან იუწყებიან, რომ სამინისტროს დაცემის უახლოესი მიზეზი ადრიანოპოლის გარნიზონის მოქმედება იყო, რომელიც სტამბოლის წინაღმდეგ გალაშქრებას იმუქრებოდა, თუ სამინისტრო არ აასრულებდა მათს მოთხოვნას გადადგომის შესახებ. მეორე მხრით ეს ფაქტი იმის მომასწავებელია, რომ მეამბოხე მხედრობის მოთხოვნას მართლაც ანგარიშს უწევენ და ცდილობენ დათმობის გზით აიცილონ თავიდან მოსალოდნელი საერთო მღელვარება, რომლის ნიშნები ეხლაც სჩანს.

როდესაც, მაჰმუდ-შევქეთ ფაშის წასვლის შემდეგ, სამინისტრო თითქოს გაჯიუტდა და მეტის დათმობას აღარ აპირებდა, დიდ-ვეზირს წარუდგა სტამბოლის მღელვარე ჯარის აფიცრობა და აშკარად განუცხადა, რომ თუ სამინისტრო მთელი თვისი შემადგენლობით ნებით არ გადადგება, მაშინ იძულებული ვიქნებით ძალით გავდევნოთ იგი სამინისტროს სადგომებიდანო. ხმელეთის ჯარს მეზღვაურებმაც მხარი დაუჭირეს და აჯანყებას იმუქრებოდნენ. მაშინ, გაიგო თუ არა ყველაფერი ეს სულთანმა, დაუყოვნებლად მიიღო კაბინეთის გადადგომის თხოვნა.

თუმცა ჯერ-ჯერობით არ იციან ვის მიენდობა ახალი კაბინეთის შედგენა, მაგრამ საერთო მოსაზრება კი ისეთია, რომ მომავალი სამინისტრო ანგლოფილური იქნება და ბევრ სასურველ რეფორმას შემოიღებს ბრძოლით მოქანცულ ქვეყანაში. ამიტომ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა ლიკვიდაცია უნდა უყოს თავის მოქმედებას, დროებით მაინც, რადგან მისი ნაციონალისტური პროგრამა სავსებით ჩაიფუშა და უკმაყოფილებას იწვევს თვით მისივე განყოფილებების მხრით.

**ზავის საკითხი.**

გერმანული გაზ. „რეიხშპოტ“-ის კორესპონდენტი რომიდან იუწყება, რომ ამ ჟამად რომში მართლაც იმყოფებიან ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელნი, რომელთაც მინდობილი აქვთ ზავის შესახებ შინაურული მოლაპარაკების გამართვა.

მეომარ სახელმწიფოთა შესარიგებლად შემდეგი გეგმაა თურმე განზრახული: იტალია დაიპყრობს კუნძულ ხიოსს, ოსმალეთი კი დარდანელის დაკეტვით უპასუხებს. მაშინ სახელმწიფოები რუსეთის ინიციატორობით პროტესტს განაცხადებენ, რომელსაც მხარს დაუჭერს გერმანიაც. სახელმწიფოთა პროტესტს, როგორც „ფორს მაჟორს“, ოსმალეთის მთავრობა გასამართლებელ საბუთად იხმარს ხალხის წინაშე და მაშინ დაიწყება ოფიციალური მოლაპარაკება ზავის დამკვიდრების შესახებ. მოსალოდნელ მოლაპარაკებას ერთი მეტად მძიმე საკითხი ექნება გადასაწყვეტი, რომელმაც, შესაძლებელია, კიდევ დიდხანს შეაფერხოს შერიგების საქმე—ესაა იტალიის მიერ დაპყრობილი კუნძულების ბედი. ევროპის პოლიტიკურ წრეებში, ისეთი აზრი ტრიალებს, რომ ხსენებულ კუნძულთა მომავლის შექმნა მხოლოდ ოსმალეთ-იტალიის შეთანხმების კომპეტენციით ვერ განისაზღვრება. მაშასადამე, ამით საქმე კიდევ უფრო გართულდება და ვინ იცის, როდის მოეღება ბოლო ისედაც უნაყოფოდ გაჭიანურებულ ომს.

## შემოწირულება

**ფ უ ლ ა დ.**

მუშტაიდში 26-ს მაისს გამართულ სეირნობიდან. **„ნაძალადევი“-ს სცენის მოყვარეთა წრეს** დარჩა წმინდა შემოსავალი 280 მან. 78 კ.

გამგეობა დიდს მადლობას უხდის ყველა იმ პირთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა სეირნობის მოწყობაში და მათაც ვინც შემოსწირეს ნივთები და ფული სეირნობისათვის. შემომწირველთა სიას გაახლებთ ამასთანავე გამოსაცხადებლად.

გამგეობა უცხადებს უღრმეს მადლობას ქველმოქმედ იაკობ ალ. მანსვეტაშვილს, რომელმაც შემოსწირა 50 მ.

დესპ. დავ. ფარსადანოვისამ 5 მან., ზაქ. ავთანდილოვმა 3 მ., დავ. ადამ. დოდაევმა 3 მ., ეფრ. მირზოევმა 3 მ., ანტ. ნიკ. ფურცელაძემ 3 მ., ლევ. ანტ. ფურცელაძემ 2 მ., ისაია ფურცელაძემ 1 მ., მიხ. აგლაძემ 1 მ., თაქთაქიშვილმა 1 მ., კონ. დაკიშევიჩმა 75 კ.

**ნ ი ვ თ ე ბ ი თ:**

კარაევმა 5 ც. ლამბაქი, ძმ. მ. და გ. ხელაძეებმა 4 ბ. ღვინო, ბედიანიძემ, 3 არშ. ჩითი, ვას. ნიკ. ლოლაძემ კასინკა, ქავთარაძე და გველესიანმა 2 დუჟ. ბეჭდები, 3 ც. ბროშკა, 2 ნაჭ. საპონი, რედეკული, და ერთი ყუთი საყელოები ქაღალდი, ად. ბერელაშვილმა 10 ბოთ. ღვინო, მიტრ. ლაღიძემ 25 ბოთ. ლიმონათი, ამხ. „საერო“-მ 15 ბოთ. ღვინო, ა. ზედგინიძემ 6 ც. გალსტუკი, საკანდიტერო „დოვერიე“-მ 3 გ. კეკსი, რაჟდ. ბრეგაძემ 3 ც. ბურთი და 2 ნივთი, საზ. „კახეთია“-მ 20 ბ. ღვინო, ნიკო სოხაძემ 15 ბ. ღვინო. ვახტანგოვმა ერთი ყუთი კონფეტტი, „თანამშრომელი სკოლი“-სამ „სეკრეტიკები“, ა. კ. ავაკიანცმა 10 ც. ლია ბარათები, ბაგდასაროვმა კონფეტტი და სიგარა, ბარტავამ 2 ც. შოკოლადი, მიდინგაშვილმა 2 ც. საპონი, ა. მ. ბაგდასაროვმა კორსეტი და 5 წიგნაკი საქსოვი, ი. ასატუროვმა 10 ც. ლია ბარათები და 3 ც. საპონი, ბ. კერესელიძემ 4 ც. სიმები, აზატიანცმა 10 ც. ლია ბარათები, ა. დამბოვსკიმ ლია ბარათები, მ. აფრიკოვმა საფერფლე, ხატიაშვილმა 7 არშ. სარპინკა, დოროჟნოვმა შეკერილი იუბკა, ნაზარბეგოვმა 5 ც. სხვა და სხვა ნივთები, ა. სეივანოვმა საშაქრე, აკა... 10 პაჩ. კონფეტტი, კუკუჯანოვმა და ხარიშჩაროვმა ქოლგა, ლისინოვმა კალმების დასაწყობი, გ. მ. ჩილინგაროვმა ხალათი, ლ. ხიდეკელმა 12 ც. წიგნაკები, კობახიძემ 2 ც. ნივთი, ხ. გ. ქურქიშვილმა სავარცხლები, დიტრიხმა 40 ბ. ლუდი, კირტავამ მარაო, გრ. ვას. ჩარკვიანმა 50 ც. წიგნაკები, მიხ. გაჩეჩილაძემ 2 წიგნი პიესები, ივ. მიხ. სვეშნიკოვმა ყვავილები.

წრის გამგეობის მდივანი: **იასონ ფანიაშვილი.**

## წერილი რედ. მიმართ

შუშის მაზრაში მყოფ ქართველთაგან გამოღებული წვლილი პატრი **მიხეილ თამარაშვილის** ძეგლისათვის. შემომწირველთა სია: ბაგრატ მირიანაშვილმა 1 მ. 50 კაპ., თითო მანეთი: გრიგოლ ცხადაძემ, ბაბილინა ცხადაძემ, აკაკი ლორთქიფანიძემ, გრიშა მაჭავარიანმა, არჩილ ნინიაშვილმა, გრიგოლ კიკნაძემ; ათ-ათი შაური: გიორგი აბუსერიძემ, ლავრენტი გოგელიამ, პავლე მჟავანაძემ, ნოე ბერიშვილმა, პავლე ნინიაშვილმა, ნიკოლოზ სალამატინმა, ფადო კულუმბეკოვმა, მარიამ კულუმბეკოვისამ, როდიონ ჩოჩიამ, ანტონ ტურძელაძემ; ალექსი ნანაძემ 75 კ., ელენე ნანაძისამ 75 კ. მიხეილ ელიაშვილმა 25 კაპ.

სულ შესდგა 14 მ. 25 კაპ.

შემომწირველთა მონდობილობით **გრ. ცხადაძე.**

ბ-ნო რედაქტორო! „სახალხო გაზეთის 639 №-ში ამოვიკითხე, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელ სარედაქციო კომისიას გადაუწყვეტია გაგზავნოს გამომცემლობის მდივანი ბ. გედევანიშვილი ს. ყვარელში, რათა გადაიღოს ფოტოგრაფიული სურათი განსვენებული ილიის სახლისა, ეზოსი და თვით ს. ყვარლისა.

დარწმუნებული ვარ, რომ წინდახედული და გამჭრიახი სარედაქციო კომისია უყურადღებოდ არ დასტოვებდა იმ გარემოებას, რომ იქვე, ყვარლის მისავალშივეა ის „ცხვირ წამოწვდილი კუდა-გორის მთა“ თავისი „შარა გზით“, სადაც იმალებოდა განთქმული „კაკო ბლაჭიაშვილი“ და დაავალებდა პატივცემულ ბ. გედევანიშვილს „კუდა-გორას“ ფოტოგრაფიული სურათის გადაღებას. ამასთანავე ბ. გედევანიშვილს შეუძლიან ს. ყვარელში გადაიღოს სურათი ტიპიური კახელი გლეხისა—სუფთად და მოხდენილად გამოწყობილი ლურჯ ჩოხაში, გულ ამოჭრილი ახალუხით, მოხდენილ წინდა-პაჭიჩახსაკრავ-ქალამნებში.

ამ საქმეში დიდ დახმარებას გაუწევს (წინასწარ და ჭეშმარიტებით შეგვიძლიან ვსთქვათ) პურ-მარილით განთქმული, პატივცემული ყველასთვის გულ შემატკივარი თ-დი ი. ჭავჭავაძე.

ბოდიშს ვიხდი სარედაქციო კომისიის წინაშე თუ უკვე მის მიერ მოხდენილ განკარგულებას ვიმეორებ.

პატივისცემით **მღ. დ. ნ. ვარდიაშვილი.**

ძლიერ გვიან მოახწია ჩემამდე სამწუხარო ამბავმა იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებისამ. სწრაფად მოედო აქაურ ქართველ გადმოსახლებულთ ეს სამგლოვიარო ამბავი. უმეტესობა ქართველ გადმოსახლებულებისა გლეხები და მუშები არიან, რომლებიც სამუშაოზე არიან გაფანტულნი. შეტყობინებისათანავე მიანებეს თავი და მოახდინეს კრება, რომელზედაც მოისმინეს იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობაზე და პიროვნებაზე მოხსენება, სცეს პატივი ფეხზე ადგომით და იგალობეს „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი“.

ვწუხვართ გულით ასეთი საქმიანი და სასარგებლო საზოგადო მოღვაწის დაკარგვას მით უმეტეს, რომ მისი დიდი საქმის გამძღოლი ჯერ არ სჩანს ჩვენში. ის იყო ჩვენი უშინსკი, ჩვენი სკოლის მზრუნველი.

მონდობილობით **ის. რამიშვილი.**

1 ივლისი ქ. ასტრახანი.

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი და უღრმესი მადლობა გამოუცხადო დიდად პატივცემულ ბატონ იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილს, რომელმაც გაჭირვების დროს ნივთიერი დახმარება აღმომიჩინა 25 მანეთით.

პატივისცემით კ. ი. **ხო—კი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**(საზაფხულო).**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: სააგარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

**მცხეთიდან: სააგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს სამელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანიში** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71 |

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარული,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის $12^1/_2$ ს. პ ი რ დ ა პ ი რ ი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12^1/_2$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლს და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტ ფ ი ლ ი ს შ ი ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**ს ა ნ ა ო ს ნ ო ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა**

**კ ა ვ კ ა ზ ი და „მ ე რ კ უ რ ი“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახანისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12^1/_2$ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ. **ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ. **ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ. **ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე. **კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე. **კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ. **ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ. **ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ. **ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს. **მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. **„კავკაზ ი მერკური“** ტელ. 682.

## განცხადებანი

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ, საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

## დაბა სამტრედია

**ა ხ ა ლ ი ა გ უ რ ხ ა ნ ა.**

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს **6X3X$1^1/_2$ ვერშოკ. ზომიანს.** მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსებ-სა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ჭეიშვილი.**

(თ. 1338 11)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. [illegible] 11 ს., დღ[illegible] [illegible]ის ქ., № 47. [illegible]

## ექიმ-სპეციალისტების პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ-დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ჰ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საშვილოსნო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

(წ. 1074.98)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

## ყურადღება!

(წ.1131.202)

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

აგრეთვე **ყოველ დღე მოგვდის** საკუთარ სამრეწველოებიდან **ახალ-ახალი ზუთხი, თართი** და **ლოქო.** მაღაზიაში ყოველთვის მოგვეპოვება **მოხარშული დოში, იანი, ჭიპა, გამოსული ზურგიელი:** კავკასიისა, დონისა, ორაგულისა, გვაქვს ყოველნაირი საქონელი და კონსერვები.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

Е. К. Краткій очеркъ исторіи церкви и экзарха за XIX стол. 2 р. 20 к.
Заслуги Грузинскаго монашества и монастырей для отечественной церкви и общества . 30 „
Давидъ Гареджели и его Лавра 15 „
Жизнь и подвиги преподобнаго Антонія столпника чуд. Марткопскаго . . . . . . 5 „
Св. Давидъ III возобновитель царь Грузіи . . . . . . 5 „
Назрѣвшій вопросъ (къ 100—лѣтію прис. Грузіи къ Россіи) . 20 „
Исарловъ. Письма о Грузіи . 80 „
Кипшидзе Гр. Періодическая печать на Кавказѣ . . . 15 „
Киріонъ Еп. Культурная роль Иверіи въ исторіи Руси . . . 3—
Натрошвили. Иверскій Монастырь на Аѳонѣ въ Турціи . 1—
Ираклій II Царь Грузіи . . 20 „
Мцхэтъ и его соборъ „Свэти-Цховели“ . . . . . . . 3—
Обученіе на родномъ языкѣ въ начальныхъ школахъ и его значеніе . . . . . . . 20 „

**ახალი წიგნები:**

ძუნწი, კომედია, გ. ერისთ. . 5 „
„დარვინიზმი“, ნათ. ფანცხ. . 25 „
ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი. დ. უზნაძე . 75 „
შ. არაგვისპირ. მეოთხე წიგნი 50 „

**ადრესი:** Тифлисъ О-во распр. Гр.ср. гр. насел. (წ. 1141.72)

## ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**

## კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.9)

## 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

## „ნაკადულ“-ზე

**✦ წელიწადი მერვე. ✦**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას დებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●—**

**—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—83 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**